

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების საკრედიტო სისტემის სტრუქტურა

იმნაიშვილი გიორგი, ქეთევან ნანობაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილული და გაანალიზებულია ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში დანერგული კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული ECTS სისტემა. ჩვენი საკრედიტო სისტემა შედარებულია ევროპულ სისტემასთან. სასწავლო კრედიტების ოპტიმალური განაწილების მენეჯმენტის ფორმალიზებული მოდელის ძირითადი მიზანია უმაღლესი განათლების საკრედიტო სისტემის მენეჯმენტის კონცეფციის განზოგადება და ხელმისაწვდომობა.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი განათლება. სისტემა. კრედიტი. ECTS. მენეჯმენტი,

1. შესავალი


დღეს ჩვენი საზოგადოება განსაკუთრებულ ინტერესს გამოხატავს ბოლონიის პროცესისადმი. კერძოდ სასწავლო კრედიტების დაგროვების და ტრანსფერის სისტემის მიმართ.

კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის თანახმად, კრედიტი ენიჭება სტუდენტს ფორმალური საგანმანათლებლო პროგრამის ან მისი კომპონენტის მიერ მოთხოვნილი სასწავლო აქტივობის დასრულებისა და მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების შემდეგ.


კვალიფიკაციის მიღების მიზნით, შესაძლებელია კრედიტების დაგროვება, კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულების გადაწყვეტილების შესაბამისად. თუ სტუდენტმა მიაღწია სწავლის შედეგებს სხვა სასწავლო გარემოში ან დროით ჩარჩოში (ფორმალური, არაფორმალური, თვითგანათლება), მასთან ასოცირებული კრედიტების მინიჭება შესაძლებელია ამ სწავლის შედეგების წარმატებული შეფასების ან აღიარების შემდეგ. დასაშვებია განხორციელდეს ერთ საგანმანათლებლო პროგრამაში მინიჭებული კრედიტების ტრანსფერი მეორე საგანმანათლებლო პროგრამაში იმავე ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. ტრანსფერის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულება აღიარებს კრედიტებსა და მასთან ასოცირებული სწავლის შედეგებს. პარტნიორი უნივერსიტეტები წინასწარ უნდა შეთანხმდნენ საზღვარგარეთ გატარებული სასწავლო პერიოდის აღიარების საკითხებზე.

ECTS-ის 60 კრედიტი დაკავშირებულია ფორმალური, დასწრებული სწავლების სრულ აკადემიურ წელთან და მასთან ასოცირებული სწავლის შედეგებთან. უმეტეს შემთხვევაში, სტუდენტების სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მერყეობს 1500-დან 1800 საათამდე. ამდენად, ერთი კრედიტი შეესაბამება სასწავლო დატვირთვის 25 – 30 საათს. [1]

ECTS-ის საკრედიტო სისტემის თავისებურებები ნაჩვენებია 1-ელ და მე-2 ნახაზებზე.



ნახ. 1



ნახ. 2

2. ძირითადი ნაწილი

კრედიტების ოპტიმალური განაწილების მენეჯმენტის კონცეფციის დამუშავების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისეთი ფაქტორებიც, რომლებითაც ჩვენი საკრედიტო სისტემა განსხვავდება ევროპული სისტემისაგან. მაგალითად, ევროპული საკრედიტო სისტემა, საკონტაქტო საათების გარდა, ითვალისწინებს ნებისმიერ სხვა საათობრივ დატვირთვას, რომელსაც სტუდენტი საჭიროდ თვლის სასწავლო კომპონენტების სრულყოფილი ათვისებისა და ჩაბარების მიზნით.

ECTS-ის მთავარი ძირითადი მახასიათებელი არის ის, რომ იგი სტუდენტზე ორიენტირებული სისტემაა. ის ეხმარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მასწავლებელზე ორიენტირებული მიდგომა ჩაანაცვლოს მიდგომით, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის საჭიროებებსა და მოლოდინებს. ტრადიციულ, მასწავლებელზე ორიენტირებულ მოდელში საგნის მოთხოვნები, ცოდნა და თავად სასწავლო პროცესი განიხილებოდა, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი ელემენტები. სტუდენტზე ორიენტირებული სისტემა კი სწავლას აყენებს კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების ცენტრში და სტუდენტს სწავლის შინაარსის, ფორმის, ტემპისა და ადგილის არჩევანის საშუალებას აძლევს.

სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება განიხილება, როგორც სტუდენტის დამხმარე და მხარდამჭერი საკუთარი სასწავლო გზის ჩამოყალიბების პროცესში. იგი ეხმარება სტუდენტს დაეყრდნოს საკუთარ, ინდივიდუალურ სწავლის სტილსა და გამოცდილებას.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელებისას, სწავლის შედეგებისა და სასწავლო დატვირთვაზე ორიენტირებით, ECTS-ი სტუდენტს აყენებს სასწავლო პროცესის ცენტრში, საგანმანათლებლო კომპონენტებზე კრედიტების განაწილებით ხელს უწყობს ეფექტიანი სასწავლო გზების შექმნას.

რადგან ECTS-ი სტუდენტს აყენებს სასწავლო პროცესის ცენტრში, ცხადია, ამ პროცესის მახასიათებლებიდან მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სწავლის შედეგებს.

სწავლის შედეგები აღწერს თუ რა უნდა შეეძლოს სტუდენტს სასწავლო პროცესის წარმატებით დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები, ეს არის განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს, რომელმაც მიიღო კონკრეტული კვალიფიკაცია, დაასრულა პროგრამა ან მისი კომპონენტი. ამდენად, სწავლის შედეგები ხაზს უსვამს კავშირს სწავლას, სწავლებასა და შეფასებას შორის. განაცხადი სწავლის შედეგების შესახებ, ჩვეულებრივ, დინამიკურობით ხასიათდება და აღწერს: ცოდნას, გაცნობიერებას, გამოყენებას, ანალიზს, სინთეზს, შეფასებას და სხვ. [2].

3. დასკვნა

სწავლის შედეგების გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები უფრო მკაფიო და იოლად გასაგები ხდება სტუდენტებისათვის, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის. სწავლის შედეგების გამოყენება, აგრეთვე, აადვილებს კვალიფიკაციების შედარებას და ხელს უწყობს მიღწევების აღიარებას. ECTS-ში სწავლის

შედეგების ფორმულირება სასწავლო დატვირთვის გამოთვლისა და, შესაბამისად, კრედიტების განაწილების საფუძველია. როდესაც საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირები აყალიბებენ კვალიფიკაციის პროფილს, ასევე, პროგრამისა და მისი კომპონენტების მოსალოდნელ შედეგებს, ECTS-ის კრედიტები ეხმარება მათ, რეალურად დაგეგმონ სასწავლო დატვირთვა და შეარჩიონ შეფასების სტრატეგიები. დაინტერესებულმა პირებმა (სტუდენტი, დამსაქმებელი) სასარგებლო წვლილი შეიძლება შეიტანონ სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში. სწავლის შედეგების შეფასება წარმოადგენს სტუდენტისათვის კრედიტების მინიჭების წინაპირობას. შესაბამისად, საგანმანათლებლო კომპონენტებში სწავლის შედეგებს ყოველთვის თან უნდა ახლდეს შეფასების მკაფიო კრიტერიუმები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს დავრწმუნდეთ, რომ სტუდენტმა შეიძინა შესაბამისი ცოდნა და უნარები.

ლიტერატურა - References – Литература:

1. ECTS Users' Guide (2017). კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა სახელმძღვანელო. თარგმ.: ი. დარჩია. <http://eqe.gov.ge/res/docs/ECTS.pdf>
2. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა ECTS (2009). სახელმძღვანელო. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. საუნივერსიტეტო კურიკულუმის განვითარების პროგრამა. თბილისი,

STRUCTURE OF THE CREDIT SYSTEM OF HIGHER EDUCATIONAL PROGRAMS

Imnaishvili Giorgi, Nanobashvili Qetevan
Georgian Technical University

Summary

The article examines and analyzes the system of transferring and accumulating ECTS credits introduced in Europe. Our credit system is compared with the European system. The main purpose of the formalized model of managing the optimal allocation of educational credits is the generalization and accessibility of the higher education management system.

СТРУКТУРА КРЕДИТНОЙ СИСТЕМЫ ВЫСШИХ ОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ ПРОГРАММ

Имнаишвили Г., Нанобашвили К.
Грузинский Технический Университет

Резюме

Рассматривается и анализируется внедренная в Европе система перевода и накопления кредитов ECTS. Наша кредитная система сравнено с европейской системой. основная цель, формализованного модели управления оптимального распределения учебных кредитов это обобщение и доступность системы управления высшего образования.